

საბანკო მომსახურების პირობების დანართი N10 - ანაზარი „Приват-вклад“-ის (შემდგომში - დეპოზიტი) სტანდარტული პირობები

1. დეპოზიტზე თანხის დამატება და დეპოზიტიდან თანხის გატანა (მათ შორის დარიცხული საპროცენტო სარგებლის) შესაძლებელია შეუზღუდავი მოცულობით და რაოდენობით.
2. დეპოზიტის შემნახველი წიგნაკი გაიცემა მხოლოდ დეპოზიტორის მოთხოვნის შემთხვევაში.
3. დეპოზიტორის მიერ დეპოზიტის ვადაზე ადრე დარღვევის შემთხვევაში, დეპოზიტორი მიიღებს დეპოზიტის ძირითად თანხას და დეპოზიტის ძირითადი თანხის განთავსების დღიდან დარღვევის დღემდე ფაქტობრივად დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, ბანკში დადენილი პირობების შესაბამისად.
4. დეპოზიტზე თანხის დამატება და დეპოზიტიდან თანხის (მათ შორის დარიცხული საპროცენტო სარგებლის) გატანა შესაძლებელია დეპოზიტის ანგარიშიდან.
5. საპროცენტო სარგებელი დაერიცხება მხოლოდ დეპოზიტის ძირითად თანხას. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მოხდება ყოველდღიურ ნაშთზე.
6. დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის კაპიტალიზაცია მოხდება დეპოზიტის მომსახურე მიმდინარე ანგარიშზე, ყოველთვიურად.
7. დეპოზიტის ძირითადი თანხის ან/და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის განადგობის საკომისიო შეადგენს 0 (ნული) ლარს.
8. დეპოზიტის მოქმედების პერიოდში, ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, დეპოზიტორის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, შეცვალოს დეპოზიტის პირობები (მათ შორის საპროცენტო სარგებლის მოცულობა და მისი დარიცხვის წესი). ამასთან, თუ აღნიშნული ცვლილება: აუარესებს დეპოზიტორის მდგომარეობას, ბანკი ვალდებულია ასეთი ცვლილების შესახებ აცნობოს დეპოზიტორს არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში, დეპოზიტორი უფლებამოსილია შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში წერილობითი სახით განაცხადოს უარი აღნიშნულ ცვლილებებზე, შესაბამისად, ცვლილება არ შევა ძალაში და ბანკი უფლებამოსილი იქნება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დეპოზიტის ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი ჩარიცხოს დეპოზიტის მომსახურე მიმდინარე ანგარიშზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების ცალმხრივ შეწყვეტას ბანკის მხრიდან. იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტორი არ გამოიყენებს ამ პუნქტით მინიჭებულ უფლებამოსილებას, აღნიშნული ცვლილებები შევა ძალაში, ბანკის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- 9.1. არ აუარესებს დეპოზიტორის მდგომარეობას, ბანკი ვალდებულია გაუზღავნოს შეტყობინება დეპოზიტორს ასეთი ცვლილების შესახებ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
- 9.2. წინამდებარე სტანდარტული პირობებით განსაზღვრული ურთიერთობის ფარგლებში, მხარეთა შორის კომუნიკაცია განხორციელდება საბანკო მომსახურების პირობებით განსაზღვრული კომუნიკაციის წესების შესაბამისად.